დანართი 1

ა) ლაშა საღინაძე - თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) გიორგი შამათავა - თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე - კომისიის წევრი;

გ) ირაკლი საღარეიშვილი - საფინანსო დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;

დ) მანონი ჯოჯუა - საფინანსო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;

ე) ანტონიდა სვანიძე - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (პირველი კატეგორია) - კომისიის მდივანი;

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების - განყოფილების უფროსის, მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) და წამყვანი სპეციალისტის შესარჩევად
კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების უფროსის. მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) და წამყვანი სპეციალისტის შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების უფროსის, მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) და წამყვანი სპეციალისტის თანამდებობებზე კანდიდატის შერჩევა.

ბ) კომისიას მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1. კომისია კონკურსანტს დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების უფროსის, მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) და წაყვანი სპეციალისტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტები, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას დისტანციურ რეჟიმში Zoom პლატფორმის საშუალებით.
2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
3.საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას. რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების შედეგებს).
4.შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების უფროსის, მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) და წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე შერჩეულად ითვლება, ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების

თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.